ჩვენ ისაკას მივმართე:—ხატი ვკამე შენია, „ტარტაროზში“ ხლაფორთობ, იცი პალაქენია,—მონი და ეს რეჟიმო კარგათ ამისენია... მან მითხრა თუ:—ავეტიქ! ეს ის არის რომაო, დღეს აღარ შეიძლება ძველებურად ძღომო! დაზოგვით ის ეიმ ქენ, მოჭერითა სკამეო, ყველა ჩოთქში ჩააგდე, რაც მოგინდეს რამეო, კონკაში ნუ ჩაჯდები, გროში-გროშზე დადებ, მე უთხარ თუ:—სუს კაც ეეე ლოკი გამომძრომია, ცოლს მოდნაზე ნუ აცმევ,—რაც ეცვას გაჭხადეო! სიტყვებში კი არ არის რეჟიმ ეკანონია?..

დღეში ხუთი აგენტი მოდის ავტომობილით, ყველა ჯერ მომჩიოთხავს, როგორც კარგი ძმობილი, მეოე ამბობს:—ხალოგი ჩქარა ვადიხადეო,—საქმე აქ მოსასვლელად, რისთვის ვაგვიხადეო, არ იცი, რომ დღეს სხვა რეჟიმი და წნეობა,—დროს დაზოგვა სჭირდება და ფულს მომჭირნეობა!... მე კი ვყვირი:—ყურუსალ, რა დახლი დამჯღომია?—ნალოგ ზეც ქენით რაღა—რეჟიმ ეკანონია!...

სტარში მილიციონი დახლში ჩამომდგომია, ერთი კვარტი დაწრუტა; კვლავ მეორის მდომია!—მე კი გული ჯაერისგან ყელში ამომჯღომია,—მზათ ვარ დავცხო სიფათში, ვაუმართო ომია:—ვა, ტო, ახმან! შაიტყე—რეჟიმ ეკანონია!...

ახარ, რაებს შვრებინა ზოგერთი სპეცები,

ზავხოზ, მოლარეები და სხვა მატრაკვეცები ფენით არ კადრულობენ, მაშინებით დადიან,—სუფსარქისმაც არ იცის, ჩუმათ რასა სჩადიან!—თავის ჯანდავ ცოლებსა ასუქებენ და რთავენ, სახლში შამპანწყებთა ქეიფებსა მართავენ,—წინათ კი არ ვაანდათ ლობიო და ღომია,—მათთვის როდის დადგება რეჟიმ ეკანონია?...

ამას წინად დუქნიდან სახლში ადრე წაველი, ღიჯინით გავიარე პროსპექტი რუსთაველის,—შინ რა მიველ ბნელოდა, სახლში იღვა ბინდია: (ლიბტრიცები ჩავაქრეთ, ძველი ჭრაქი გვინთავ), ჩემ ცოლ შუშანქასა მთლად უსახნოთ ეძინა, თავის ალუბ-მალუხნი ისე გამოეჩინა, რომ ავლედი ვაუკაცი და უთხარი:—შუშანჯან! კოცნის უარს ნუ მეტყვი, ვადმობრუნდი, ნუ მტანჯავი... მითხრა:—გიჟეს? რას როტავ? რა დროს ნიქნოსტებია: ამდენ მომჭირნეობით ქალი გულზე ვსქდებია, შიმშილისგან მუცელი წელზე მიმწებებია!—ჰოპოპებს ნუ აპყვები, რაები მოგწლომია?... ვადამბრუნდი... არ იცი რეჟიმ ეკანონია?...

—კიდევ მკითხავთ, რას ჩქივი, რა ეამი შამდგომია? განზე, განზე ბამურაზ რეჟიმ ეკანონია!... ფარსადან,

ლევარსი როსროსაკე

„ტარტაროზი“-სრედაქცემ ლევარსისაგან მიიღო სიკვდილის წინა წუთებში დაწერილი ბარათი, რომელსაც ვაქვეყნებთ აქვე:

ამხ. ტარტაროზი!
გადაციო ზმუჯს შემდეგ:
ამხ. ზმუჯი!

შენ დიდი პატივი მეცი მით, რომ ისტორიას არ დაუკარგე ჩემი თავი, მაგრამ არც მე მიცია შენთვის ნაკლები პატივი მით, რომ შენს ჯახებს ყოველთვის ვსწკალობდი გონორარით. ამიტომ, მე შეგონია, ჩემს დასაფლავებას დაეხსრები. თუ კაცი ხარ, კუზოს სახურავს ნუ ამხლადან და ნუ ჩამომხედვენ. დიდი ცერემონია არ არის საჭირო. მე მოვკვდი და ნურავის ეგონება, თითქოს ცოცხალი ვიყო. თუ კაც ხარ, ეს ამხავი—ჩემი სიკვდილი—გააგებინეთ ჩემს და მილიციას. ვინ იცის, იქნებ რამეზე მომიკითხონ და ტუველად ნუ დამიწებენ ძებნას. ძალიან გთხოვ ამახ და, იმეღია, არ გამაწიოლებ.

ნახვამდის... შენი ლევარსი როსროსაკემ.


საიდუმლოებით მოცული არის ეს სენსაციურ ამბავი. ნეტავი, რატომ სწუხს სულცხონებული ლევარსი ასე ძალიან ჩეკის და მილიციისმესახებ? რატომ მწერს. კუზოს სახურავი არ ამხადოთო?! და ბოლოს: ნახვამდის... თუ მოკვდა, როგორ ვნახავთ ერთმანეთს?... აი ის ფიქრები,

ეკ



„ბარტო“-ს პროსპექტი

რომლებიც თავიდან არ გამოდიან და ტენის უღიტინებენ.
 მაგრამ რა! ყველაფერი გათავდა...
 მოკვდა დ აღარ არის ლევარსი.
 სიკვდილი ხომ ხუმრობა საქმე არ არის?
 „ტარტაროზმა“ დღესვე გააგზავნა დელეგაცია და-
 საფლავებზე დასასწრებლად. შემდეგ ნომერში დაწვრი-
 ლებით გვექნებ ლევარსის გარდაცვალების ამბავი, რომ-
 ლის შესახებ ახლა მხოლოდ ის ვიცით, რაც გამოქვეყნე-
 ბულია. ზმუკი.



გუშინ მოულოდნელად, სამი საათის სიკვდილის შემდეგ გარდაიცვალე

ლეპარსი როსროსაპე

რასაც ვაუწყებ საზოგადოებას, „ტარტაროზს“, მის მკითხველებს, ზმუკს, ჩემს ცოდს ედუკის და ნაც-
 ნობ-მეგობრებს. დასაფლავება ემი მოსდება ზეგ.

ვერაფერს ვამბობ, რადგან ბევრი მაქვს სათქმელი.
 გაიგეთ, ხალხნო, რომ აღარ გვყავს და გარდა-
 იცვალა

ლეპარსი როსროსაპე

რასაც განუხსავლერელი ნწუხარებით ვაუწყებ ჩემ
 გიბებს. ზმუკი.

„ტარტაროზი“-ს რედაქციას არ უნდა დაიჯეროს
 ეს ამბავი, მაგრამ რა ენადღებდა, მაინც აცხადებს
 მკითხველთა საყურადღებოდ, რომ გარდაიცვალა

ლეპარსი როსროსაპე

რომელიც გუშინ გამგზავრებულა საიქიოს (გზაც
 იქით ჰქონია).

გაუბედურებული ედუკა აუქციებს საზოგადოებას
 ძვირფასი ქმარის

ლეპარსი როსროსაპის

გარდაცვალებას. დასაფლავება ზეგ.



გამოცდვის სიცხე

შემოგვესია საგნები ირგვლივ:
 უნდა შეტევით რომ აგვაბოლოს.
 ვომობთ... არ ვიცით თუ ბრძოლის ვე-
 ლი.
 რომელს დარჩება ჩვენთაგანს ბოლოს.

ხელში ავიღეთ ყველაზე უწინ
 ჩვენ საქმული გეომეტრია.
 თუმც ვიზუპირებთ, მაგრამ ოპერა
 ის მინც თავში არ შეეთრია.

ხელი მოკიდეთ მის თანამომქე—
 სინუს-კოსინუსს, სეკას-კოსუკასს.
 ერთბაშად მიღის ფორმულა თავში
 იწვევს გონების გახბილვას, ჩხრეკას.

ამ პროცენტებმა და პროგრესიამ
 გონების არე შძიმედ დაბეგრა.
 ნეტა ვიცოდეთ: რად მოიგონეს
 გეომეტრია და ეს აღგებრა.

ჩვენ ისტორიაც გვიკირვებს საქმეს;
 ქართულმაც მისებრ მოსძახა ბანი...
 და საზოგადო მეცნიერებამც
 გაგვბადა ყველა ოფლმოსაბანი.

ებლა ფიზიკაც იძრო მახვილი:
 ელექტრო დენით ჩამოჰკრა სიმებს
 და მოუხარაშე ვაგლახ ფორმულებს
 დინამოდ ისერის... ცეცხლად აწვიმებს!

გაქრა ყოველი... და გიგიენა
 თავს წამოგვადგა თვის მრისხანებით.
 მას უკან მოყვა ბიოლოგია,
 იგიც ამხედრდა ჩვენზე დანებით.

აღარ გვიკარებს ჩვენ გერმანული,
 რუსულმაც გვერდით მოიგდო ფარი,
 ცოდნა-სწავლისთვის ეს ჩვენი გოგრა
 აღარა არის თავშესაფარი.

შეწყდა ყოველი... ხმა არსად ისმის...
 აღარც პედაგოგთ სტვენა-ძახილი.
 მხოლო ხანდახან შორს სიბნელეში
 მოისმის გამგის გამოძახილი.

8. კორდისპირები.

შ ტ ი



შახახვევი

გამსახლის, ჩინი

მიზანთა წინააღმდეგობა

განა-მგზნია

„ტრამეიზე მომუშავე კონდუქტორები დებულობენ პრემიას შემოსილიდან მანეთზე თითო კაპეისს“.
 „ამ ვატმანთ, რჩამელიც გაუფრთხილდება რონოდას, ეძლევა საამისო ჯილოდ“.



კონდუქტორი (კატმანს): არ გესმის სიგნალი? რას დებხარ? წადი რადა!

ვატმანი (კონდუქტორს): აჩქარებითა სოფელი არა-ვის მოუქამოა!... შენ გინდა მეტი მგზავრები დადაიყვნო, რომ საჩუქარიც მეტი გერგოს... მე კი ხოლოდ მაშინ მო-მცემენ საჩუქარს, როცა ვაგონს გაუფრთხილდები და კა-რგად შევიწახავ... შოქრობა აფუქებს და სცვეთს ვაგონს.

გახვლდი კირცი სოჯულო
 ყველა რბის-თავის ნეჩაჩო.
 ალიაქოთი ამტყუდარა
 აქ სკოლის აშენებაზე.
 კარუსა სედავენ საბაბსა
 საჩხუბარ-სამიზე ზოსა:
 ყველას ჰსურს: სკოლა რომ ედგას
 ახლოს სახლის ღდა ეზოსა.
 მგხლა-მემოზლა, კამათი-
 სიტყვებს ისერიან ცხელადა;
 იყოფა ხალხი ორ ჯგუფად
 ერთ-ერთის საბრძოლველად.
 ერთ ჯგუფს ბელადობს ვასილი,
 ხალხს უქადაგებს, აქეზებს:
 „მშებო, ჩვენ სკოლა წავიღოთ
 და ავამშენოთ ვაკეზე“.
 ლევან და პლატონ ჰყვირიან,
 „თუ არ ააგეთს გორაზე,—
 ჩვენ ნეკ თითსაც არ ვაყანძრევთ
 ვაკეს აგებულს სკოლაზე“.
 ამუნებისა მაგიერად
 აშენებული იქცევა...
 „სწავლული ხალხი“ ამ სოფლის
 ნეტა ასე რად იქცევა?!

ცხვანტი.

მეგაწუნეს სიმღერა

მე მემაწუნე ბიჭი ვარ,
 მიხოს მეძახიანო.
 დილით ვდგები ადრიან,
 ვირსა შეევაზმინანო.
 ზურგზე ქილებს აეჭიდებ,
 გზას გაუღდებიანო.
 შოლტის ქნევით ქალაქში
 მიკეშურაბიანო.
 ქალაქისა ქალები
 მე შელიადებიანო.
 ახალგაღვიძებულნი
 კარებს გამიღიანო,—
 და თქვენს მიხოს ოთახში
 ებატეებიანო.
 ქილებს იქვე დაფუცლი,—
 ფულებს ჩამითვლიანო.
 გარედ რომ თავს გამოგყოფ,—
 სხვები მეძახიანო.
 ჩიჩქინია ქალებთან
 შევიჭიჭებიანო.
 (ნაკლებ ფასში მივსცემ; ვინც
 კარგი იქნებიანო).
 და დღე მუდამ ამ გვარად
 ქალაქს ჩავივლიანო;
 კობტა-კობტა ქალები
 მე მელოდებიანო.
 მე მემაწუნე ბიჭი ვარ,
 მიხოს მეძახიანო.
 ჩემი „ლურჯას“ ამარა
 ოჯახს ვუძღვებიანო.

ყველა მას ენაცვალოს:
 ფურგონ-ეტლებიანო,
 პაეროპლენ-ტრამეი,
 ავტომობილიანო!
 ჩემი კობტა „ლურჯა“ მე
 ყველას მიჩვევნიანო.
 მე მემაწუნე ბიჭი ვარ,
 მიხოს მეძახიანო.
 დილით ქალაქს მივდივარ,
 იქ მელოდებიანო.
 კობტა-კობტა ქალები
 მიხოს ეძახიანო,
 ქილით მაწონს ჩავუცლი,
 ფულებს ჩავითვლიანო.
 და დღე მუდამ ამ გვარად
 ოჯახს ვუძღვებიანო. ცაგილო.
 ანუ ტარტაროზო!
 თუ შენ ამ ლექსს დაშიბექდაკ, შენ
 ისეთი კარგი ბიჭი იქნები, ისეთი რო-
 მა... რა ვსთქვა,—ძალიან შემეყვარ-
 დები. ეს დიდ პატივისცემა იქნება.
 ვანა ცოტა სამსახურს ვუწუეო ქალა-
 ქელებს მაწონის მიწოდებით?! თუ ეს
 დაიბეჭდება, კიდევ მოგაწვდი მასა-
 ლას ვირთა ცხოვრებიდან. დამიბეჭდე
 და ყოველ დღე ფეშქეშად თითო ქი-
 ლა მაწონს მოგიტან... შემდეგში მა-
 სალას იმდენს მოგაწვდი, რომ ჩემს
 „ლურჯა“-ს საპალნედ ეყოს.

ცაგილო.



ხაშურის ფოსტაში
 მსახურობს სიმონი.
 დამეავდა აქ ყოფნით,
 ვითარცა ლიმონი.
 ორ წელზე მეტია
 რომ არის ის აქა,
 ჯერ მის არ ხედლობა
 წიკოპურტი და ლაქა.
 ასე და ამგვარად
 სიციცხლე ატარა,—
 მაგრამ დღეს ვახადეს
 ის ბურთი პატარა.
 ხან ქვემოთ დისციემენ:
 უცვლიან ადვილსა
 ჩითულს მუშაობითა,
 და ფულით ადვილსა.
 ხან ჰკრავენ პანღურს და
 სტორცხნიან სურამში...
 იქიდან ხაშურში...
 ის არის ბურთაში.
 ხან იჭით, ხან აქით...
 სურამში... ხაშურში...
 ფრთხილად შენ,—ვისაც გაქვს
 სიავე და შური.

ციკოლიკო

კატიუი



ტ.მ.ლი: შევიდეთ, გენაცვალე, აქ...

ჰმარნი: ერთხელ ვიყავი და მაშინაც ფეხი მომტეხეს აუადამიანური დროს; ეხლა კი შევე ვინდა მეორე ფეხიც მიმამტერიონი? სახლში წაწვდი.

„საკურორტო კამპანია“

— არა, იმ დალოცვილმა ღმერთმა ასე მშვენიერად რომ მოაწყო ქვეყანა, რა უჭირდა გემო ჩაეყოლებოდა და აგარაკებზედაც ეზრუნა? — ამბობდა ერთი ჩემი მეგობართაგანი.

რატომ, შე კაცო, აგარაკების შეტეხი რა არის საქართველოში! მაგაზე საყვედური არ ითქმის! — ეუბნებოდა მე.

— სწორედ, საქმეც ეგ არის, რომ აგარაკები არის. მე იმას ვტყვი, რომ აგარაკი გააჩინა იმ დალოცვილმა. რა საჭირო იყო. აგარაკები ჩემისთანა პატრიოსანი კაცს გულის მოსაკლავად არის გაჩენილი.

განცხადებები

იყიდება **ბმმარნი** შექმნილი გოჭის თავი, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ნახა. 35.000 კაცმა, რაც იშვიათი მოვლენაა.

იჩქარეთ ყიდვა, თორემ კიდევ უფრო აყროლდება და მტკვარში გადაუძახებენ. რითაც იზარალებს პატრონი.

თუ თქვენ გინდათ **საჩქაროდ** მიხედეთ და არ დაიგვიანოთ **სამსახურში**, — ნუ უცდით **ტრამპანის**.

ჰაშინანი ტანი კი არ იყიდის ბილეთს პირდაპირ, არამედ თითო უბნობით. რადგან მოსალოდნელია რომონდა წახდეს და ფეხით „წაბრანება“ ხედეს წილად.

ვისაც გესაუბრობთ **მასაში**, ჩადექით რიგში კინობილეთების შესაძენად.

გამოცდილი ქურდი **მამამ** ხელსაყრელ გასაქურდავ ბინას. ვისაც გეგულებათ ასეთი, გთხოვ შემატყობინოთ (ხრლად არა მილიციის საშუალებით).

დავკარგე როცა აბანოდან მოედოდი პორტფელი, რომელშიაც იყო: ძველი, დაკონკილი გამოწეული საცელები, პირადობის მოწმობა ტენტერაძის სახლზე და ორი გირვანქა ქართული ლავაშის პური. მპოვნელს

— მე მანც არაფერი მესმის.

— არ გესმის? შეირთე ცოლი და ისეთი მოგესმება, რომ ყურები წვივს დაიწყებს. შენ იცი, რას ნიშნავს ეს ორი სიტყვა: საკურორტო კამპანია? საკურორტო კამპანია უბრალო (იგივე უცოლო) მოქალაქისათვის, უბრალო რამეა, ბრალიანისათვის (იგივე, რაც ცოლიანი) კი — მეტად ბრალიანი. საკურორტო კამპანიას გაზფხულთან დაწყებული გაზფხობა ცალკე ადგილს უთმობენ და რეპორტიორებიც კი ფულს აკეთებენ. პირადად მე არც ერთი კამპანია-ისე ძვრი არ მიჯდება, როგორც საკურორტო კამპანია. ყველაზე მაგარი ის არის, რომ თუ სხვა კამპანია ერთი-ღამე, ნამი დღე, ან ერთი კვირა გრძელდება საკურორტო — თეივბით გასტანს.

ცოლიანი კაცისათვის საკურორტო კამპანია მეტად მძიმე რამ არის. ჯერ ერთი, რომ ცოლი ავიხირდება, აიტყვივებს თავს, წელს, გულს და ფულტეებს. გაუჩნდება: სისხლნაკლებობა, კუჭის ანთება, გულის ფრიალი, სურათი, ყაზაობა და საყმაწვილო. ერთი სიტყვით, რაც ქვეყანაზე ავადმყოფობაა, ყველაფერს შოიმიზეხებს. იმდენს იმედაციდენებს, რომ შენ თითონ შეეხვეწები. კურორტზე წასვლას. ამის შემდეგ იწყება კურორტის უამრავი. ბირჯოში კიებაა, აბასთმანში — ქლექიანება, ცემში — კიდევ უარესი. ბაზმარო პროვინციალური, — კეთილმოუწყობელი აგარაკია. კისლოვოდსკი — შირს არის, შოვი — ახალ გახსნილია... ბოლოს ჯერი მიდგება ერთ რომელიმეზე. ამის შემდეგ იწყება საკურორტო კამპანიისათვის შესაფერ კაბების ჩევა. არც ეკონომიის რეჟიმი, არც ჯამაგირის რაოდენობის მხედველობაში მიღება, არც ზეწნა-მუდრა, არც სხვა რამე ზომა რ გადის. ერთი იმდევოს პალტო — სიცივისათვის. ერთი პლაში — წვიმისათვის. ერთი ლაკის ფეხსაცმელი, ორი სანდალი, ერთი შევრის ტუფლი ღრუბლიან დღეებისათვის და სხვა. ამის შემდეგ, ოთახი, სურსათ-სანოვავე და შემდეგ მეზაფრობა, შემდეგ წერილები, შემდეგ ფულის მოთხოვნილება და ბოლოს, გამოცალიერ-ტარილებულ ჯიბით სახლში დაბრუნება.

ეს ოხერი საკურორტო კამპანია რომ არ ყოფილიყო, ქვეყანაზე ჩემს ბედს ძალი არ დაჰყვოდა. მთელი წელიწადი სახლში კამპანია (დგულისხმება: ქეფი, დროს ტარება) მექნებოდა.

აღლარ-აღლარსა.

ესთხოვ საიდუმლოდ შეინახოს ჩემი სახელი და გვარი და დამიბრუნოს პორტფელი და პური, რისთვისაც საუჭრად დანიტოვოს დანარჩენი.

დავკარგე სამსახურის შოვნის იმედს შრომის ბირჯაში. ვანც იპოვნის მისი იყოს.

ნერწყვაძე.

დავკარგე რუსთაველის პროსპექტზე სეირნობის დროს ცოლი რაზვოდამის სახელზე. ჩაითვალოს გაშვებულად და გაუქმებულად.

ჭახიშვილი.

დავკარგე მოთმინება სახკინზრეწვის სურათის, მეცხრე ზვირთი“-ს მოლოდინში. მნახველს ესთხოვ მიიტანოს სახკინზრეწვიში. რეკლამაზე პანტელიონს.

დავკარგე საფულე, რომელშიაც არაფერი არ იყო. მპოვნელს ესთხოვ: კეთილ ინებოს და დამიბრუნოს საფულე შიგ თავისი ასი მანეთის ჩადებით, რისთვისაც მიიღებს ერთ ჰიქა ლაღიძის წყალს.

ვაიმენსპატრიონიშვილი.

დავკარგე სახლოდან განგებ წატყულებით ჩემი ცოლის ძალი, რომელსაც მეტ პატივს სცემდა, ვიღაც მე. მნახველმა არ გაბედოს მისი მოყვანა, თორემ ვალახვას ვერ გადამიჩება. ცხვირმაროშვილი **მ(ა)ღენ**.

„ოჲი ღა ზაჲი“ (კლმნად შენიშვას)

„უკვლავება“



„რომის პაპამ ზიიღო იტალიის და უკხოეთის ხუროთმოძღვრები, რომლებმაც უნდა ააგონ რომში ფაშიზმის საპატივსაცემოდ უდიდესი ძეგლი-კოშკი, რომლის თავზე მოთავსებული იქნება ეკლესია“.
 დებუებიდან.



პაპა და მუსოლინი (ღმერთს, რომელიც ძეგლის თავზე გადმომდგარა და სტკბება სანახაობით): აცხოვრე ნული ამათი, რომელნიც შეეწირენ წმინდა საჭმესა ფაშიზმსა, რამეთუ ესენი ზგომოდენ შოდვრებასა ჩვენსა.



№ 54

კვირა 27 ივნისი, 1926 წ.

№ 54

ჯაკუასთან ახლოს



ჯაკუასთან მიდის ავტოთი სასეარნით... მომკირ
 ჯომბა თუ დაინახა, ვაი მათი ბრალი...
 ეს კი არ ვიცით—და ეს კი ჩვენი მომკირკობია.

საქართველო როსტროსადე

ვინაიდან ჩემი სიყვარულით, რომლის შესახებ ცნობა მე გ...
გამოვქვეყნებ გახულ კვირას, მთელი ხალხი დამგლოვავებულდ-
დამწუხრებულნი იქნება, რაშიაჲ მე ეტყვი არ შემდის, რადგან მე ვიცი,
რომ ხალხს ისე უყვარდა, როგორც საქუთარი თავი, ამიტომ ჩემის
სარდაფიდან, სადაც მე ხელ დამაიდგინებ დღეა რაც ვიყვარებ, ვი-
წერები ამ წერილს და ვსთხოვ როგორც „ტარტაროზი“-ს რედაქ-
ციას, ისე წამუს. ეს წერილი გამოქვეყნდეს და მით დაამშვიდდეს
აღორიკებულნი საზოგადოება, რომელსაც მე მკვდარი ვგონივარ და,
სინამდვილეში კი, ვწივარ ჩემსად, სადაც არც ისე გოჯოხეთი უთ-
ფილა, როგორც გარედ ამბობენ, მაგრამ სადაც, სიმართლე რომ
ვსთქვით და არავის მოვერიდოთ, არც ისე კარგია, როგორც ეს, აღ-
ბად. ჩემის მოხელეებს ჰგონიათ, რაც სინამდვილედ, რომ მათთვის
არაფერია აღმინის აქ მოთავსება, თუმცადაც არც ის შეიძლება თო-
ქვას, რომ ჩემს საქირთ არ არის (რაშიაჲ მე დავრწმუნდი აქ ყოფნის
დროს), თუ ყველასთვის არა, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთებისა-
თვის მაინც, რომელთა შორის, რასაკვირველია, ამას ბევრი გამო-
კვლევა და ყოყმანი არ უნდა, მეც ვარ, მთუხედავად იმისა, რომ ეს-
სე, სულთყოფილი, კი არ მინდა აქ ყოფნა, მაგრამ რას ვიზამ, აწი
რა დროსია, როცა კარები გამოკეტული მაქვს და უარული თოფით
სელში არ შორდება ფანჯარას, საიდანაც შემოდის სინათლე, რომე-
ლიც ერთად-ერთი ჩემი სიხალისეა, თორემ სხვა, ნუ გეშინია, არა-
ვინ არის ჩემი გამკითხვეი თუმცადაც, სულთყოფილი, ხანდახან
ვიღაცები მოდიან და რადაცუბს გვიგზავნიან, რაც ჩემთვისაც სასარ-
გებლოა, რადგან მეც მინაწილებენ, თორემ ამდენიხანს როგორ მოვა-
წევდი ცოცხალი რომელსაც ჭამის
მადა უფრო დიდი მაქვს, ვიდრე გარედ ყოფნობის დროს, თუმცადა
არც გარედ ვყოფილვარ ბატარა მჭამელი, რის დახამტკიცებლად შე-
მიძლია მოვიყვანო მაგალითი, რომელიც მოხდა ჩემს ცხოვრებაში,
მაგრამ რა საქირთა მაგალითი, როცა, მე მგონია, ყველამ იცის ეს
ამბავი და, თუ არ იცის და ისეთი ვინმე კი არის, იმისათვის არც ეს-
ლა იქნება საინტერესო, და ამიტომაც მე ამის შესახებ არაფერს
ვამბობ, მით უმეტეს, რომ, ცოტა არ იყოს, სიტყვა გამოგრძელება და
გამიქიანურდა და, რაც მთავარია, ის კი მგონი უთქმელი მჩრება,
თუმცადა, არა უშავს,—მაინც მოვასრუებ თქმას, რადგან ჯერ კიდევ
ბევრი დრო მაქვს და, რა მენადვლება—ვიღაპარაქებ, მით უფრო,
რომ ერთად-ერთი ჩემი ვართობა ეს არის, თორემ სხვა, ნუ გეშინია,
ვერსად ვახიერნო და ვერაფერი ნახო, რადგან ძალიანაც რომ გინ-
დოდეს, გარედ გამწეები არავინ არის მაინც, და ამიტომ სრული
დარწმუნებული ამაში, ჩვენც ალბრ ვლავფორტობთ ამის შესახებ და
ვართ დამშვიდებული.

თბილისიდან მეორე მატარებლით წავედი. სამტრედია-
ში როცა ჩავიდა მატარებელი, საღვთრი სასე იყო ადგი-
ლობრივი ქალებით. მე გამიკვირდა და ვიკითხე:
— ნეტა დღეს რა დღეობა არის, რომ ამდენი ქალები
გამოსულა საღვთრში?



და სამტრედიის ჩაცვლად—სამტრედია დავაწერე.

— აქ ყოველთვის ასეა.
— რა საუესხოვო არიან; წველა ლამაზებია,—გავი-
ფიქრე და ვაგონიდან საღვთრში ვადავედი.
თვალი მოეკარი წარწერას: სამტრედია. დავეფიქრდი...
— ალბად, როცა პირველად ეს საღვთრი ააგეს, მა-
შინ აქ ასეთი მოძრაობა, ასე ბევრი უსაქმრ ქალები, არ
იქნებოდნენ... ალბად, სამ ტრედია იმიტომ უწოდეს, რომ
მარტო სამი ქალი დასეირნობდა აქ მაშინ... ქალი ხომ იგი-
ვე მტრედია... ქალს ხომ ალერსით მტრედს უძახიან...
— ჩემო მტრედო,—ასე ეუბნება ქაბრი ცოლს...
პო—და ესლბ კი სამი კი არა, ათასიც იქნება აქ ქალები...
ამ საღვთრის სახელი: სამტრედია უნდა გამოსცვა-
ლოს ნაცვლად სახისა უნდა დიწეროს თუ ათასი არა,
ასი მაინც...
მეც ასე მოვიქცევი. ხაზი გავუსვი, წავეშალე სამ-
ტრედია და მის მაგიერ დავაწერე: სამტრედია. ჯერ ასე
იყოს... როცა კიდევ მეტი უსაქმო-მოსეირნე ქალები გა-
მოვლენ აქ, მაშინ შეიძლება: კიდევ მომატება ათასმტრე-
დია... მილიონმტრედია...

გვარიანად გიმგზავრე.
როცა ბათოში ჩავედი, საღამომდე ქალაქში დავი-
ცადე. საღამოს კი საზღვრისაკენ გავსწიე, რომ ოსმალეთ-
ში გადაცსულნიყავი დაიჭრან კი—ევროპაში გავიდოდი.
საზღვრამდე მშვიდობიანად მივედი. ხოლო იქ კი,
ცოტა არ იყოს, ცოტა დამცხელა: არავის უშეგბდენ. ასე-
თი სასტიკი ზომები იმტრობ არის მიღებული, რომ იქი-
დან კონტრაბანდი გამოაქვთ.
მე მივიძალე ერთს ბუჩქში და მოხერხებულ დროს
ველოდები იქით გადასასვლელად.
ვწივარ ბუჩქის ძირად და ჭე ვარ მწყერსავით განა-
ბული.



დავეწიე ჩახმხს და უკან დავბარუნე.
— ეს ბუჩქი მეცნობა. ნეტა სად მინახავს... აჰა, უწინ
„ახლობაზე“ აქ, ამ ბუჩქის ძირში ვისხელი თოფით ხელ-
ში და კონტრაბანდისტებს ვიჭერდი... აჰა, ჩიბუხი რომ
დამეკარგა მაშინ, ახლა ენახე... უყურე: ჩიბუხში თუთუ-
ნიც და ცეცხლიც არის; მას შემდეგ კიდევ არ ჩამქრალა—
და მე გაეაბილე ჩიბუხი, მაგრამ სწრაფად მომაგონ-
და, რომ: შემინწნავდენ,—დი ცეცხლი ჩავაჭრე ჩიბუხში.
მე მომაგონდა ერთი ამბავი, როცა მე აქ, ამ ბუჩქის
ძირად ვყარაულობდი:
უცბად მომემსმა რალაც ფაჩუნი. ყურები ვსკვერტე—
შორს რალაცა მოსწანს სიბნელეში. მაშინვე თოფო მოვი-
მარჯვე, დაუშინე. შევესძახე და ჩახმხიცი გამოუშალე და
წავედა ჩახმხი ეხალზე დასაცემად, რომ ამ დროს მომა-
ძანა კონტრაბანდისტება:
— ბიჭო, არ წახდე ლევარსივ, არ წიფწყმიდო სული
არ ჩახბდე ჩემი ცოლმცილის ცოდვაში, და არ მოქკლა
კაცი. ბიჭო, მე ვარ შენი მეზობელი: ივანიკა მახარაძე—
გავიგონე ეს დუ არა, დაუძახე ივანიკას:
— ნუ გეშინია, ბიჭო; ჩახმხს კი გამოვუშალე. მარა
მაინც არ მოგკლავ,—
და, ამ სიტყვებთან ერთად, დავეწიე გამოშლილ ჩახ-
მხს და ისევე უკან დავბარუნე... გადარჩა. ივანიკა მახარა-
ძე თუ არა, და ისიც ჩემი კი მეზობელი, თორემ
სხვას არ გადავარჩენდი.

„ბირაჟი“



ქასაბი: (გაზეთზე ხელისმომწერის მიმღებ ქალს):
ბარიშნა მაღამ, ერთი ათი გირვანქა გაზეთი გამომიწერე...

მალე: გაზეთი ცალობით გამოიწერება, და არა წონით!

ქასაბი: მაშ ჩადი სჩოთქში, თუ რამდენი ცალი უნდა ათ გირვანქას და იმდენი გამომიწერე.

ეს ასე იყო... და, თუ ვინმეს არ გჯერათ, შეგიძლიათ თვითონ ივანიკას შეეკითხოთ... საწყალი ივანიკა მახარაძე, კარგი ხანია, რაც მოკვდა...

ჰო-და, როცა ამ ფიქრებში ვარ, დავინახე, რომ ჩემსკენ მოდიან ჯარისკაცები... ავღეჭი და ისევ გამოვბრუნდი... საზღვარზე გადასვლა არ მოხერხდა.

ელუკი მენატრებოდა. რამდენი ხანია იგი არ მინახავს! მენატრებოდა მეზობლები და სახლში წავედი.

როცა ეზოში ჩავედი, ელუკი ალტაცებული შემომეგება. მას ორი შვილი ჰყავდა; ერთი მკლავზე უჯდა, ხოლო მეორე, უფროსი, დედის კაბას ჩაფრენოდა და, თითქოს ჩემი სტვენითა, დედის ზურგის უკან იმალებოდა.

— აი, ასეთი ცოლი გყავარ. რამდენი ხანია წასული ხარ, ოჯახის ამბავს არ კითხულობ... შვილი არ აყავდა და ძირი... ახლა კი, ხომ ხედავ, ორი ბიჭი დაგახვედრე... აბა... შენისანა ცოლი ქვეყანაზე არაღვის არ ეყოლებს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ელუკი... მართლაც შენისანა ცოლი არაღვის ეყოლება... ყოჩაღ ქალო, ორი ბიჭი დამახვედრე... აწი რაღა მიჭირს... ყოჩაღ ელუკი—

მიხაროდა და ვებვეოდი ელუკის. ხუჭრობა საქმე ხომ არ არის. ცოლთან ოცი წელიწადი მიცხოვრია და შვილი არ მყოლია... ეხლა კი—ორი ბიჭი მყავს... ორივე მე მგანან... ნამდვილი მამა არის... „ის ურჩევია მამულსა, რომ შვილი ჰგადედს მამასა“... მეორე ასე ამბობს ანდაზა, და ეს მართალი არის... აწი რა მიჭირს: გამრავლდა როხროხაძის გვარი... გამრავლდა ქართველი... ოჰ, როგორ ესწუხდი, რომ შვილი არ მყავდა... გმადლობ, გმადლობ, ჩემო ელუკი... ჩვენ პატარა ხალხი ვართ და უნდა გავმრავლოდეთ... ნეტა, რამდენი ბიჭია ეხლა საქართველოში?... ორი ჩემი მიემბატა!... კარგად არ მახსოვს, რამდენი მითხრა...

მე ერთხელ, როცა თბილისში ვიყავი, სტატისტიკურ სამმართველოში მივედი მის მმართველთან.

— დაბრძანდით... რას გვიბრძანებთ?

— თქვენ მე კარგად გიცნობთ... არ იფიქროთ, რომ სხვა რამეზე მჭიროდეს... მე დიდ წიგნს ვსწერ მსოფლიო სტატისტიკის შესახებ, თუ შეიძლება, მითხარით: რამდენი ახალგაზრდა ქალია და კაცი საქართველოში? კიდევ ვიმეორებ: ეს მე მჭიროა არა სხვა რამეზე... ანე, რომ მე თქვენ არ მოგატყვილებ...

— ჯერ ამის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია.

— ჰო, კარგი... თუ თქვენ უხერხულად გრძნობთ, მაშინ არ შინდა... მეც კარგად ვიანგარიშებ— და მე გარედ გამოვედი.

მე იმიტომ მიხლოდა ეს ცნობა, რომ ამით ვავიგებდი და ვიანგარიშებდი ჩვენი ხალხის გამრავლების რიცხვს...

ჩვენ ვართ ორ მილიონზე მეტი. ამ ორ მილიონში გასათხოვარი და ცოლმოსაყვანი იქნება, დაახლოებით, მეოთხედი, ე. ი. ხუთასი ათასი... ხუთასი ათასი ცოლქმარიკ თითოეულმა ცოლქმარმა უნდა გააკეთოს, საშუალოდ, ექვსი შვილი... ეს იქნება სამი მილიონი... სამ მილიონს მივუმატოთ ორი მილიონი, იქნება ხუთი მილიონი... ხუთ მილიონიდან, თუ კი საჭირო იქნება, თუ კი ქალი და კაცი, დიდი და პატარა შეიარაღდება, ერთი მილიონი ისეთი მებრძოლი ჯარი გამოვა. რომ კომუნისტები კი არა, ვერავინ ვერ დაგვიმაგრდება...

ამიტომ ყოჩაღ და ათასჯერ ყოჩაღ ჩემს ცოლს ელუკის...



ცოლი ორი ვაჟიშვილით შემომგება.

იმ ღამით, როცა დავწვევი, ფიქრებმა წამიღეს.

— შენ დამარცხდი ლევარსი... ვერაფერი გააკეთე ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ... შე რა კაცი ხარ?... ევროპაში ვერ გაიპარე... აჯანყება ვერ მოაწყე... ისევ დაუბრუნდი ოჯახს და ყანას... ისევ ძველ უღელში უნდა გიება,—

ასე ჩამძახოდა ვიღაც და მოსვენებას არ მძძვედა... მე ვადასწყვიტე სიკვდილი... კიდევ მოკვდი... მაგრამ დასაფლავების დღეს ვადავიფიქრე და გავცოცხდი... ეხლა აქ ვარ... ჩემი სიკვდილ-გაცოცხლების შემდეგ დღეს სწორს მიიღებ დაწერილებით ცნობებს... ეხლა ესეც კეპარა საზოგადოების დასამშვიდებლად.

ლევარსი როხროხაძე.

„ბარტაროზი“, ზმუცი და ლევარსი როხროხაძე გულთხად მაღალია უხადის ყველა იმით, ვინც კეთილ ინება და წერილობით, თუ პირადად მწუხარების თანაგრძობა გამოვციცხადა ლევარსი როხროხაძის სიკვდილის გამო. აღარ ვათავებთ სამგლოვიარო წერილებს, ვინაიდან ლევარსი როხროხაძე ცოცხალია და ჩვენი თავს ხატუნად ვოდ გრძნობს.

“უკლატენია”

ვა, ვა, ვა! ქრისტიანებო, ბალახათა გავონილა! ეს ქვეყანა შამფურითა ტრიალებს და მეც ღორის სუკით ამ შამფურზე ნელ-ნელა უტეცხლოთ ვიწვი!... კაცო, ეს რა ზაპრუმალი დრო დადგა! გამართლდა რა-ღა, გამართლდა კარაბადინში და ეფერმეერში ნათქვამები თუ მავან და მავან წელსაო მეორეთ მოსვლა მოვიდესო... ამაზე უარესი მეორეთ მოსვლა იქნება? ეს სავეცევი ვლასტი მეორეთ მოსვლაა, მამ და ჯანდაბადა ღონანაა!..

კაცო, შენი ალაბ ფულით აშენებულ სახლში ქირას იხდიდე, ათადან-ბაბადან ნაქონი იმენიები წაგართვან და გლუხუჭა მუნდრეებზე ტაბლასავით დაარჩიონ შენს საკუთარ საოტებში თითონ ფულები მოიგონ და შენ კი ხმელი პურის ქაბითა ღრძილებს ოტყავებდე, ამაზე მეტი მეორეთ მოსვლა?

ეპა, ნამდილად უყისმათო ვარსკვლავზე ეყოფილვართ დაბადებული და რამდენი ხათა და ხლავორთიც დაგვატყდეს, უნდა გაუძლოთ მეტი რა ილაჯო. ვაპ ნიკოლოზო, არ შემეტები, მაგრამ წაწყვი და აძალდი ჩვენი ამთ ხელში ჩაგდებისათვის რაღა! არა ამ ეშმაკის კერძები, რა ბალახავითა ფესვები გაიდგეს და! მერე რა ზირთი - ფირთის ხალხია, რეგბს არა შერებთან, ქვეყანა პარისასავით არიეს და სულ პოპო-ში ჩავარდნილიყავი!

მოდი თავიდან გიამბობთ ჩემი გულის დარდებსა: მაგრამ ქვეყნას ჯანი გავარდეს, ნეტავი ჩემი ცოლი სათენჯია არ გადავირით და თუნდაც უარეს სოდომში ჩავარდნილიყავი! მოდი თავიდან გიამბობთ ჩემი გულის დარდებსა:

როცა ეს პერევიაროტი ქნეს, დუქანი უფე დაკეტილი მქონდა, რაც შეშედი გადარჩა შაქარი, ვიჩინა პრაიზნიზ რაღა, —სახლში გადავხიდე და იაშიკებში და შკაფებში ჩავალაგეთ. ქალკში რომ ყველაფერი გა-მოილია და სახლებში ობრკები დაიწყეს, შინისაგან ვიღოეთ. პუპუს, ერთ ღამეს ჩვენსაც დააკაუნეს. გულმა მიგრანო, რომ ავი ანგელოზი გვეპატრონება. ჯერ გავიტვინე, მაგრამ, როცა კარების რახუნი დაიწყეს, მე წავილულულე: — ხტო ტამ—მეთქი.

— ატკროი იმენემ ზაკონა, —მე ტროიკა ვარო!
— ტროიკა კი არა, ვინდ კარეტა იყავი ამ შუალა-მისას რა საქმე გაქვს მეთქი.

— ატკროი სკატინა, ბურჟუა, მენშევიკ, სპეკულიანტ, კაკ ტო სმიემ პრატივიცა, რასხოდ პუშჩუო პულიმეტროვით მამაყარა ამისთანა ასკარბიტელნი რამეები. რას ვიზამდი, კარებო გავალე. მაშინვე სახლში შემოცვივდნენ ძაბრის ქულანები და ტყავის კურტიანები.

— სადა გაქვს პრაიზნი გვაჩვენეო! მაგრამ ვის დააკადეს, მთელი ვეშნები გადმოაქოთესც და რა შეშვი-ლი იყო, ავტომობილზე დააწყეს. ერთმა რაღაცა ბარათი დასწერა და მომცა, თითქოს დიდი ვეჭსალი იყო. ბრაზი მანჩოვს ჰამა, რას ვიტყვი, ვნადავ, მკლავის სიგრძე-თა ჰკიდიათ ლეკროვები! ერთიც ვნახოთ, სიფათში არ მოვეწონე და რასხოდი მიყონ, მერე მოღო და ვირი ტა-ლახიდან ამოიყვანე!..

ის ერთი, რომელიც სტარში იყო, მებნება თუ: — შენ და შენს ცოლს უკლატენია უნდა გიყოთო. გული გამისქდა აბავიფიქრე, ოღბათ უკლატენია ნასილსტევი ნი ანეჩნესტია არის მეთქი. ვებეწვები: დოსპოდინ ბალ-შევიკ, კაკ საბაკა სლუჟიტ ბულდუ; შენს სიყმეს ვილო-ცავ, მე რაც ვინდა მიყავო, ოღონდ ჩემს ცოლს მაგ უკლატენიას ნუ უწამთ მეთქი. ბან ჩუნის? გაჯიუტდა, შეგდა უჯათობის ვირზე და ყვირის: კაკოი ტამ, ორი-ვეს უნდა გიყოთო. ეს მიწაგასახეთქო სათენიკაც სალ-ლასნი გახდა და:

— მიყოს, მიყოს გეოჯან, არა მიშავს რაო.
— ვებნები თუ დედაკაცო, გიყოს რომე-

ლია, ამდენი ხანია ნამუსხანათ გიცხოვრია და ეხლა კი გიყოს? თავი სადღა გამოყვო...

— ნამუსი რა შუაშია, ოთახები უნდა ჩამოგვართვა-

სო. ჩვენ კი ორნი ვართ და ერთ ოთახშიც დავეტევიოთო, — თურმე უკლატენია ოთახების ჩამორთმევა ყოფილა! პუშურში გამიხარდა კიდევ: ამ დუხ-ქირ დროში ოთახები რომ აღარ შექნება სტუ-მრებიც აღარ მოვლენ და რასხოდში არ ჩავარდები მეთქი! ვა, პაქალუსტა მიართვით მეთქი.

მეორე დღეს ჩვენი ბარგი-ბარხანა სულ ერთ ოთახში გამოვხიდე და რომ არ დაეტია, მე და სათენიკა-მაც უკლატენიას ექენით: წინათ თუ თითო კრავოტში ვერც კი ვთავსდებოდით, ეხლა ორივე ერთ კრავოტში ვეწებით და მთელ ღამეს ომი გვაქვს: ცოტა იქით, მიიწი არ გადამაგდოვო, ხან ერთი გავადენთ პოლზე ზლო-რითს, ხან მეორე!

მაგრამ შავ და უკულმა ის დღე, როცა ჩემ სახლში უკლატენიას ქნეს რაღა. იმ ბემურაზ ჩვენ გვართვანტ ბალშევიკთან დაიწყო სიარული ათასი ჯურის ხალხმა, კრებებსა შერებოდნენ, დაკლადებს აეთებდნენ და ჩემ ცოლს ყველაფერი ესმოდა: მერე იმათ დაკლადებზედაც დაიწყო სიარული, ვილაც პრაპაგანდა ქალები გაიცნო და თითონაც მარაქაში ჩაერთა.

აი, ეს ოთხი — ხუთი წელიწადია, გა-დაირია, ქრისტანო, ჩემზეც გული აიკრუა და ოჯახზეც—ვილაც კავალრები იშოვა. კლუბებში დადის, მოდნებს აპყვა, მოკლე კაბა ჩოცო ჩიტა-კაბი მოიხა-და და იმებო შეეკრეა. ამ თმის დამოკლებასე გავ-ჯავიდა და გეზები თუ—დედაკაცო. ამ სობერს დროს რას ასტუნტრუკდა, ახარ მუტრუკიეთ რომ იკრი-ქები, შაგფერის მაგ ხნის მანდილოსანსა მეთქი? დუშ-მანს, რაც მე იმან დღე დამაყენა:

— ეხლა ის დრო არ გეგონოს, როცა შენ ნებაზე ვე-ჩნვიით მათამაშებდი, ჩვენც ბორკილები დაეამსხვრი-ეთო, —თუ ბევრს ილაპარაკებ, ეხლავე შენადელში გი-ჩივლებო!..

ამას კიდევ ჯანი გავარდეს! ამ ბოლო დროს სულ რაღაც ჩხუბის გუნებაზეა რა მემუქრება: —ხაქსოშ უნდა გაგეყარო, ტირანია ხარო!—ეს ტირანია რაღა დონანა ვერ გავიგე! ტირანია კი არა, ბოლმისაგან ისე ჩამოვდნი კაცი, რომ ტარანივით დაეწვრილდი და ეს კი აქ ტირა-ნიას მებძახის.

მაგრამ ეს სულ ამ უკლატენიას ბრალია, იმან გა-დამირია ეს დედაკაცი. ოპ, ბალშევიკებო, ამ უკლატენი-ას მოგონებისათვის თქვენ დაგეგქეთ ოჯახო, რო-გორც მე ოჯახი დამიქციეთ და შაქარივით ცხოვრება გა-მიმწარეთ. ფარხანადან.



ასე იცის

ლამის 12 საათი იქნებოდა, როცა ეტლი მიადგა „არტოს“. ეტლიდან გადმოხტა კონტად გამოწვივებული გაბო და გადმოიყვანა კოპწია არსება.

„არტოს“ კარებთან უბილეთოთ მდგომი ჯგუფი შეინძრა.

— სახე ძაღლს როგორ გამოწვივებულა! დაიქცეს მაგის ოხერი თავი... გუშინდამ შიმშილით კვდებოდა!

— ჩვენ აქ ბილეთის ფულიც არა გვაქვს, მაგი ეტლით მობრძანდა.

გაბოს ყურადღებაც არ მიუქცევია ამ მიუქცევია საზოგადოებისათვის და „არტო“-ში შევიდა.

თქვენ, ალბათ, ძალიან გაინტერესებთ ამ ახლად გაცნობილ ყმაწვილის ყოველი ნაბიჯი, „არტო“-ში გადადგმული. ძალიან ბოდიშს ვინდი, მაგრამ ყველაფერი რომ ეთქვა, რაც იმ ღამეს გაბოს „არტო“-ში მოუვიდა, ბევრი გამოვა.

მშვიდობიან მოქალაქეთათვის (იგულისხმება: რეგი-სტრატორები, საქმისმწარმოებლები, კანცელარიის და საქმეთა მმართველები, მასწავლებლები და, საერთოდ, ის ხალხი, რომელთაც გასაფლანგი არაფერი აქვთ), მშვიდობიანად გათენდა. გაბომ კი ის ღამე შეტად აღვლვებულ მდგომარეობაში გაატარა. დამაწვივდა მეთქვა: გაბო არის მოღარე. „არტო“ არის ბაღი, სადაც მოიპოვება ისეთი გულუბრყვილო სათამაშოები, როგორც არის: ნარდი, კარტი (კახინოში), ლოტო, რულეტკა, პტი-შეო და სხვები.

იმ შესანიშნავ ღამეს გაბო კარგად ჯიბეგამორტეხილი შევიდა ბაღში და დილას გამოცალიერებული გამოვიდა. მისი მხლებელი ქალი არსად სჩანდა.

თქვენ, ალბათ, გამოგიცდიათ, თუ როგორი არა სიმპატიური მოვლენაა წყალში დახრჩობა. შეიძლება თქვენ პირადად არ დამხრჩვილხართ ჯერ წყალში, მაგრამ რომელიმე თქვენი ნაცნობი შინც გეტყვოდით, თუ როგორია დახრჩობის პროცესი. რამდენად არასიმპატიურია წყალში დახრჩობა, მდენად სიმპატიურია წყალში დახრჩობისაგან გადამხრჩენი კაცი.

თბილისში არსებობს: წყალში დახრჩობის მომწესრიგებელი საზოგადოება და მას სადარაჯოები აქვს მოწყობილი მტკვრის პირზე, რომ ავით მოწესრიგებს მოქალაქეთა დახრჩობის საქმე.

ჰოდა, როდესაც გაბო მტკვარში გადაეარდა დასახრჩობათ; ადრე იყო და თითქმის არაივის გაუგია. არ გაუგია ეს ამბავი წყალში დახრჩობის მომწესრიგებელ საზოგადოების მცველსაც, რომელიც, რასაკვირველია, არ არის ვალდებული იცოდეს, ვინ როდის იხრჩობა.

წყალში ჩავარდნილმა გაბომ უტეხ წარმოიდგინა და-

ხრჩობის მთელი საშინელება, გადააეწყდა პირვანდელი მიზანი (დახრჩობის მიზანი) და მოუსვა ცურვას. თან გულში იგინებოდა: „რალაც დახრჩობის წინააღმდეგ მებრძოლი ხართ“, — ლანძღავდა იგი დამხრჩობ საზოგადოების მცველს, — „გადამხრჩინეთ რალა, ხომ ხედავთ, ჩემისთანა ახალგაზრდა კაცი იხრჩობა!“

„დახრჩობის მცველს“, როგორც ეტყობოდა, არაფერი ესმოდა გაბოს ლანძღვის, იწვა თავის კარგაში და ლანძღვითანად ხერხინავდა. გაბო კარგა მანძილზე ჩაითრია წყალში. მან დაკარგა მცველს იმედი და მორთო ყვირილი. ამ ყვირილს ყურადღება მიაქცეის, მეეტლებმა, რომლებიც ცხენებს ბანდენ მტკვარში, და გაბო ადვილად გადააჩინეს.

გადარჩენილი გაბო ბრაზით აღარ იყო. შეეტლებს, როგორც იქნა, თავი დააღწია და წყალში დახრჩობის საწინააღმდეგო საზღვის სადარაჯოსაკენ გაემართა. მივიდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუწყო ბრაზუნი

— ვინა ხარ, — გაისმა ნამძინარევი ხმა შიგნიდან ნახევარი საათის ბრაზუნის შემდეგ.

— მე ვარ, შე ოჯახდასაცქევო! გამოდი გარეთ, კაცი იხრჩობა! — შესძახა სიცოცხლესაგან კბილებაწყველებულმა და გაწუწულმა გაბომ.

— ახლავე მოვიდვიარ! ვინ არის ამ ღორის ადგომამდე რომ იხრჩობა? კაცს ძილს არ გაცლბან! რა დროს დახრჩობაა ამ ალიონზე? — ბუზღუნებდა დარაჯი.

— ოხ, თქვენ კი რა გითხრათ! მოდი ახლა და ამათი იმედით წამოდი დასახრჩობად. მაშ გეგრე იცავთ თქვენ მოქალაქეთა სიცოცხლეს? — შესძახა მოთმინებლად გამოსულმა გაბომ. — კაცი კინალამ დაეხრჩვი, ამას ყურით არ გაუპარტყუნებია და კიდევ საყვედურს ლაპარაკობს!

— მაშ ეს თქვენ ბრძანდებით, ყმაწვილო, რომ ამ უთენიას მოდიხართ და ჩვენდა დაუკითხავად იხრჩობით? ახლავე წამობრძანდით კომისარიატში! — დაუყვირა დარაჯმა და ღონიერი მკლავებით მოზიდა. გაბოს წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა და გაჰყვა.

მეორე დღეს გაზეთის ქრონიკაში ამოვიკითხე:

„დახრჩობაც ამახ ჰქვინანი!“

„გულში, დილით მოღარე გაბომ თავი დაიხრჩო მტკვარში, მაგრამ სიკვდილს გადააჩინა წყალში დახრჩობის საწინააღმდეგო საზღვის მორიგმა დარაჯმა. თავის დახრჩობის მიზეზი ფულის წაგება ყოფილა. კვლევა-ძიება სწარმოებს.“

გაიარა რამოდენიმე დღე და კიდევ ამოვიკითხე გაზეთში:

„კიდევ ერთი გაგვლანგველი“

„სასამართლოში დაიწყო მოღარე გაბოს საქმე ბრალად ედება სხახინო ფულის გაფლანგვა.“

აღლარა-აღლარსან.




გაგრილება

„მოლა“- „პერეპივი“ „ხეცდუნეზისა და გორგოტიზისა“



თი პატრი



თია პარი

მიქიტინაძე: თქო! აქ ხე ამოსულა... მოდი და გავხსნათ ამის ძირში რესტორანი-ბაღი?

მ.ტ.-მ.ტ.ი ნიფუზი, თუ როგორ ტარდება მომხმარებელმა ქართლ ცხოვრებაში

მომხმარებელი

ამ ბოლო დროს ჩვენს დაბაში მოხდა დიდი გარდატეხა. განდობების მოტრფივალემ ზოგმა ფეხი წაიტეხა.

აყვავების გზას დაადგა პროფკავშირი: გახსნა კლუბი. ვინაშის მოწაფეებს გამოცდის დროს მოსდით ჩხუბი.

ბაზრის უკან უსუფთაოდ აღარ არის ერთი გოჯა. აღმასკომის თანაშემწე რე დადის, როგორც ზოჯა.

სიანს ქალაქი გააკლუცდა, საეკვო: ჰყავდეს სწორი. მოვაჭრეებს დუქნების წინ სანაშენით მოპყავთ ღორი.

ლექციები გაგვიხშირეს, ყოველ ღამე არის ქრება. გოჯე თუ ივლიანე ეპოს ჯავრით ნელა დნება.

პაველ შმაგი და ვალიკო აღარ ვიცით რას უყურობს,

ყველას უკვირს: სხვა შეფურნე უკეთესს რომ აცხოვს პურებს.

ტრაქტორებიც დატრიალდა, არ ვაწვალვებთ ხარებს კავში. კოსტანტინე „სპეცი კლუბის“ გადასახლდა ხიდის თავში.

გზები უკვე შევაკეთეთ; ნეტა შენი თვალთ ნახო. შეეტლე ხუთ-მანეთს ითხოვს რომ განახოს საჯევეხო.

რალაც ძალამ ეტყობა რომ ყველა გაგვიპირიანა: აღარ ხტუნავს თავის რაშით დღეს ბაზარში მირიანა

მა გზები ბახმაროზე რომ ვაკეთოთ რალად გვინდა! აქ მგზავრებით ცეპელინი უკვე სამხელ გადაფრინდა.

ჩვენ ასე ვართ, - და კარგს იზამს გვალვის ვილას ეშინია მოსარწყავად მოვრთე ყანა. იუ მოგებაძავს სხვა კვეყანა.

ოსმან-ალა.

ვინ არის?

ამაღლვება, გუჩია

კალაგოთ ყოფნამ იყო კიდეც უფრო გააფლიდა. ქორს უზიდავს მას გოდრობი ხან პეტრე და ხან კი ლიდა.

აეგალს მუდამ სხვებს იღვენებდა თუ ვინ საით გაივლიდა. (აღბად ეს რომ არ სკოდნოდა, - კაცად არვინ არ ჩასთვლიდა).

ცბიერებით, ცულსტობით ისარგებლა კიდეც პრესა. ხერეღში ძვრება, იქიდან ჰქებენს ხალხის ყველა მოკეთესა.

მაშ არა სთქვას ლოლიბუტმა: -- ჰიკი ვარ და მხურავს ქუდი? ზოლო მაშინ და. ცირეთ თუ მოაძვრეს ზიკზე კული.

თუ მოაძვრეს რიკზე კული. ჯერჯერობით საქმე გააქვს სისაძაგლის ბეგრის ჩამდენს. თუ კი შერჩა წრა ეშვი, - ვინ იცის თუ შეჰკებენს რამდენს!

ქორიკანთა ბიურო აქვს, ცნობებს აწვდის აგენტურა. თავმჯდომარედ თვითონ არის გაიძვერა, როგორც ტურა.


საეკვო რომ გავიდეს უხიფათოდ ბოლოს ფონი, და დაადგეს ყელზე ყველა თვისი საქმე საგმირონი. ზეჟან ხლუსტი.



ორი ტიპი მაქვს ახალა „მოლის“... ორივე მიყვარს გენაცვალვები. არაუის ნაცვლად ღვინო გმობის, - ასე დავუმხე ყველას თვალები.

ცხოვრებას ქაფი უნდა გართვა როგორც მექისე-მეზანოე. ჩემს სახელს გეტყვი (ზოლო არა სთქვა)! მე ვარ „სპირიტისტი“ მისრე ნოე.

„მეცხრე ზვირთი“



კურდღელას (სოფ. ბუჯის-ციხე, გურია). „მელქისეს“ ეკონომიური რეჟიმი გაუტარებია თავის ოჯახში, თუ კი თავის ორსულ ცოლს:

„ხელი სტაცა თმაში... ჩაუბტვრია გვერდი...
ცხრა თვე აღარ აცალა... ცოლმა დაბადა ბაღანა“.
(ჯერ-ჯერობით ეყოს უფსკერო გოდორი).

ლაქაშის (სამტრედია). შე კი კაცო, რალას უსაყვედურებ აღმასკომს, რომელიც ბაღს არ ანათებს, თუ კი სიბნელე შეყვარებულებისათვის უმჯობესია. ჩვენი სურვილიც ეს არის, რომ ქვეყანა შეყვარებული იყოს; და თუ ამისათვის სიბნელე სჯობია,—მით უკეთესი ამ მომქირნეობის რეჟიმის დროს (თუმცაღა უნდა ესთქვათ, რომ სიბნელე ვერ შეჰქმნის სიყვარულს).

უტუღიას (საჭილაო) გლეხკომის ხასადილოს თავმჯდომარე (თანამდებობაც საკვირველია) იაოოოიიიიიი თქვენ იწერებთ, რომ:

პატარას არ იჯერებდა,
არ არის ჩემი ჯერიო...
და ჩავვაბარა ბოლი დროს
მან კედლები და ჭერიო.
გლეხკომის წევრებს გლეხკომით
მან ეტლი დაუქირავა,—
და გასამრჯელოდ მივებლებ
გლეხკომი დაუგირავა.
მივებლებ მისი წაილო,—
არ წავიდა დათმობაზე,—
და გლეხკომის ხასადილოც
შეიცვალა ჰერკომად.

კიდევ უკეთესი: ეხლა ზაფხულიც, სუფთა ჰაერია და უფრო მარგებელია, ვიდრე ვალოდიას ხასადილო. ასე რომ: ხასადილოს მგაერ თუ კი ვალოდიას წყალობით პაერკომი (ე. ი. აგარაკი) დაარსდა, ვალოდია არ არის სახვედურის ღერსი.

სამეფულს (კირციხი). არ გრცხვენიათ, რომ სამ კაცს ასე ცუდი წერილი დაგიწერიათ? მაგრამ, როგორც დაბა აღნიშნავს, ეს წერილი შეგიბზავთ შუადღეს. ალბად, დიდი სიტყე იყო და თავში ვერ იყო მშვიდობიანობა.

ქვესკნელს (ქარაბის თემი, ზუგდიდის მაზრა). თქვენ გეწერო, რომ:

„პირადი ინტერესების გამო თემალმასკომმა ყოფილ მდივანს შეუღწინა ყალბი საქმე და მოათავსა პირველ დაწახებით ხასწავლებელში, ე. ი. გამსახლში (ზგონი, უმაღლესში თვითონ თავმჯდომარე წავიდეს)... ახალ მდივნად აიყვანა შექრომე, რომელსაც საქმე მქონდა პროკურორთან“.

ყველაფერი ეს შესაძლებელია, მაგრამ უფრო ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ თქვენც სწორედ პირადი ინტერესი გამოგქედებთ.

ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ:

მაჟურებლებს ატყვილებენ ხელი ღომის ქაღალდით...
ერთი მდივანი გაამგზავრეს და წაუხვეს გარკიცაო...
ხალი კი ქვეშული ფლანგეთა და ქრთამითაო,
ამი დღისა მუშაობით იხორება ხამ თვითაო...

თუ კი ასე, მთლად უმჯობესი იქნებოდა, რომ ასეთი თავმჯდომარე უფალო შეგებულბაში გაგეშვათ.

ცხვანტი (იქიდანვე). ეს საშინელი ეპიდემია—ენის ქავილი,—რომელიც მოსდებია ინტელიგენციას, როგორც თქვენი წერილი ამტკიცებს; ყველაზე ძლიერად თქვენ მოგდებია.

როგორც თქვენი „აღმასკომის კაბინეტის გვერდით გაიხსნა სამრეცხაო“, ისევე ჩვენს გვერდითაც არის სამრეცხაო, სადაც ირეცხება თქვენი მსგავსები, თუმცა თქვენი წერილის გარეუხიდან მანაც არაფერი გამოვიდა, ისეთი ქუჭყიანი იყო იგი.

კაი ბიჭს (სუფსა). თუ ყველა საგნებში ორების მიღება კაი ბიჭობაა, მაშინ, ქეშმარიტად, თქვენ კაი ბიჭი ყოფილხართ.

საფიზიელს (ქუთაისი). კარგი იოსკამ ახოზარის მოთქმა:

ვნახე ცხვირი ბრუნდზე-ბრუნდი—
დავაპირე გასწარება.
მაგრად მუშტი შემოვკარი,
ვით დღეოვგატს დაშვენდება.

ასეთივე ბედი ხვდა ჩვენგან თქვენს წერილსაც.

ყვა-ყვას (ჩიბათი). საკვირველება არის: აღმასკომს უსაყვედურებთ, რომ იგი ყურადღებას არ აქცევს დომახურის ღელეს, რომელიც

წვიმების დროს ეს მინარე
ნაპირს ლახავს... ხოდა,
ამას წინედ გლეხკომიტებ
დაუწვრია ოდა.
ცოტა ხანში ჩვენს შვიდწლესაც
მიაყოლებს ზედა...

დაცადეთ ცოტა და თვით აღმასკომსაც მიადგება და წაიღებს. ალბად, თვითონ აღმასკომმა თქვენზე უფრო კარგად იცის, რომ იგი წყალწასალებია და ამიტომაც არ უწყევს წინააღმდეგობას დომახურის ღელეს. რას ირჩით ამის შემდეგ.


უერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ქურნ. „ტარტაროზი“-ს № 52-ში მოთავსებულია წერილი ჩიბათიდან „წითელი მასკა“-ს ფსევდონიმით. გთხოვთ დამიდასტუროთ, რომ ეს წერილი მე არ მეკუთვნის.

პ. ც. მიშა ვლ. პატარაია.

რედაქციისგან: ხსენებული წერილი არ ეკუთვნის მოქ. პატარაიას. „ტარტაროზი“.



ვიზუზი




— ქალი: აი, რომ ამბობენ, რომა ღმერთი არ არისო! ხომ ხედავთ სულ წვიმებია? ეს ღვთის რისხვაა და იმიტომ წვიმს.

— კინტი: არა, დედიჯან... ეს იმიტომ არის, რომა ვინა და ომის შემდეგ ცა არავის „შეუბაჩინებია“ და ზემონტი არ უქნიათ.



აღსრულდა



ბერმანიაში და პოლონეთში ისეთი სამაგალითო წესწყობილებაა, რომ „მშელი და ცხვარი ერთად არიან“.

შ ე ლ ე ბ ი



ამერიკის მშობარი.



კომუნისტების მშობარი.

აკოფას გასაჭირი



— ე-ე-ებს სწორეთ ჩემზე ყოფილა სათქომი, თუ სიბერეშდის სიქაჩლე გეწეროსო... ახარ, სიქაჩლეს კიდევე რა უშავს. იმასაც თავისი თაბაუთი აქვს და! ქაჩალი რომ ვიყო, თავის გასაკრეჭი მაინც დახლში დარჩებოდა და ესეც ყაირათის საქმეა, რაღა! ჰამა სიქაჩლეს ვინ გაჯერებ, — გამჭუტეს, კულდუსუნამდის ტყავი ამძარეს, ჯარონიკზე დამდეს და საკუთარ ქონში მხრაკამენ ჩემი ყისმათის მაყალსედა! მახლას, კვიმატიან ვარსკვლავზე ვყოფილვარ, რაღა, გაჩენილი!

კაცი გილდი-კუბეწი ვიყავი, კულასავით გამართული მაღაზია მქონდა, სახლში სიტკბო არ მაკლდა, გარეთ — პატრივი; ჩემი სახელი გრანიცაში გეხსენებინათ, იცოდნენ, თუ ვინ იყო აკოფ ბაღდასის დახლიდარიანც! სამოცი წლის კაცი ვარ და, ბეჭურაზი ვიყო, თუ ჯერ ბედისაზვის საყვედური მეთქოს რაღა!

მაგრამ, დაბე ფათერაცს! ქვეყანა ლოტოს კოჭივით გადაბრუნდა და ჩემი სასტაინიაც უციფირო ნოლზე დადგა.

ამათ მიყვეს ყველაფერი, ამ ჩემმა ამშენებელმა ბალშევიკებმა! კაცო, ეს პერევალოტი ჩემ სახათაბალოდ ქნეს რაღა, თითქოს მენშევიცი პრაიეტელსტვა მე ვყოფილიყო! შამოვიდნენ თუ არა, იობის მატლივით დამეხვიდნენ და სულამდის ხელი მიმაწვინდეს!

ესაო სუბოტნიკი ვარო, წადი აკოფ და ბაპყალხანის პერეულკაში ფეხისადგილები დახვეტეო, ეს შეველუნაროღნი პრაზნიკიაო და დუქანი დახურეო, ეს — პადაზოდნი ნალოგი ის ემე ქენიო, ეს — შენი სახლი გარაცყოი უბრავეს მოეწონა, შიგ ლიკვიდაციონი შკოლას აღებს და აიბარგეო, ეს — ცხონებულ მამაშენ ბაღდას ფულით აშენებულ დუქნის ქირა გადაიხადეო, ეს — მომეციო, ის — მომეციო, ათასი ჯანდაბა და დოზანა!

ესკდები რაღა შრაზით, მაგრამ ხმას რა ამაბაღებინებს! მაშინვე გეტყვიან: კონტრ-რევოლუციია ხარო, მერე წადი და ხლაფორთს თავი დააძვინე! ამ ცეცხლში ვარ; მთხოვენ — ეაძლევე, მეტი რა ჩარა მაქვს! აქეთ-იქიდან მანუგეშებდნენ და შებენებდნენ, თუ:

— გაუძელ, აკოფ-ჯან, გაუძელ, მაგათი დღეები დათვლილია, გრანიციდან შევლა მოდისო! ჩვენი თვლით ვენახეთ ანგლიის ჯორები და კაბიანი სალდათებო! მეც ეს მაკოცხლებდა და ყველაფერს ვითმენდი, ჰამა დრო გადიოდა. ზაკონი თავისას შერებოდა და ანგლიის ჯორმა მაინც ჩვენამდის ვეღარ მოაღწია! ვაი, ჯგორი ჩააკვდეს ანგლიის პრაიეტელსტვის იმ სულში, რაღა, თუ ჩვენთვის დროზე მოეხდნა!

როცა მაღაზია ჩამამართვეს. პამეშენია რაღა. ხელათ ქიანქველებივით დაეხვიდნენ და ერთი კარგი ლახათიანი რემონტი დაარტყეს! ერთი ჯგირის შემდეგ მივდივარ, ლამე! ვხედავ, ერთი ლიბტრიისკების ლუმინაციაა ჩემს ნაღუქნარში, ყოფაზეები გაქელილი საქონლით, პრიკაში-კები პტი-შვოს ცხენებივით ტრიალებენ, მუშტარი ქიანქველასავით ირევა და ვაქრობა გაჩაღებულო! ჯგირი დამეწვა, რაღა! გულში ვამბობ: ჰაი გიდი, აბასთუმან! ფლაგი იის უღდა, და ჰიშტა ვისა აქვს! ჩემს დუქანში ბალშევიკები ფულს იგებდნენ, მე კი ჩაის მწვანელითა ვსვამდე! ვა, ღმერთი ბრემბის შკოლაში მიუბარებიათ, რაღა, კლასნიო ნასტენიკათა!

რანი ვიყავით



ველაფერი ჰქონდა უწინ,
(აქ ვაჭრობდა საქო).

მისი იყო ეს ქვეყანა,
თბილისი და ბაქო.

რანი ვარო



ესლა კი აქ მუშაობია,—
შესცქერის და სტირის.

საღლა არის ის სიმღიდრე,—
ვერც კი ჰყიდის ირისს.

ვხედამ, ვივსკას არშინიანი ოქროს ასოებით აწერია: „ერკობა“; მეორე ადელენიას—„სტუდკობა“, მესამეს—„აკობ“. ვიფიქრე, კიდე ნამუსიანი ხალხი ყოფილა, რომ ჩემს ნაღუქნარზე ჩემი სახელი დაუწერიათ—„აკობ“, სარაჯოვის ფირმა წაშალეს და ჩემი კი ოქროს ასოებით მიუწერიათ მეთქი.

გულმა ვერ გამიძლო და შიგნით შეველი; ვხედამ, ერთ კუთხეში განიერ სტოლთან ვაენათ გაბტყელებული ზის ჩვენი კატა-აწონიანთ სტეკოს შვილი იოვანე,—ი ძაღლების დობტური როა, რაღა, ჩემი ცოლის ნათულლია, ჩვენი პურმარაილი აქეს ნაჭამი.

მივდივარ, ერთი საღამ-ქალამით ვეკითხებო, თუ—უსტა იოვან!—შენ აქ რა გინდა?—იძან, თუ მეო აქ სვე-ცათ დამაყენესო!—მერე, შენ ხომ ძაღლების დობტური იყავი მეთქი. დობტურობას დიდი ხანია თავი დავანებე და ვაენში რო ვიყავი, იქ ზახეზოზობა ვისწავლე—პრავიან-ტი მებარაო, ადვილი საქმეა, გამორჩენაც კარგი აქეს და სპეცსტავეა მეძლევაო.—მაშ, სტარში ჰყოფილხარ მეთქი, რაღა? ჰოვო!

არც ვაციე, არც ვაცხელე და ვებნებო, თუ:—უსტა იოვან, შოდი საქმე გამიკეთე, ან პრიკაშიათ მიმიღე, ან დესეტნიკათ დამაყენე, გაქფერებული ვარ, ჰამაც ამ ად-გილზე გული მაქვს დაბმული და ჩემთვის ნუგეში იქნე-ბა მეთქი.

იძან უფრო ანგარიშინათ შეჰხედა საქმეს და მითხრა:—ძია აკოვ, კუბეწი კაცი ხარ. პრიკაშიკობა რათ გინდა, ერთი პატარა დუქანი გავაღოთ. საქონელს აქედან მოგცემ დოლგასრონი ნისიით და ტრესტის სებასტოი-მოსტზე,—ივაჭრე და მოგება ორივესი იყოსო!

ვა, საღლა სიხარული! ერთ კვირაში საქმე გაიჩი-სტა და ამ ერკობის პირდაპირ გაჩნდა ჩემი პატარა დუქა-ნი, რომელსაც ოქროს ასოებით მივაწერე: „ნოვი მაგაზინ აკობ“. ეს აკობი, თურმე, მყიდვილებს კოპაპერატია ჰკო-ნიათ და მიღეთის მუშტარი დამეხვია. საქმე გამორჩიალ-და. იოვანეც ისეთ საქონელს მაძლედა, რომელიც ჰერეი ნებახადიმოსტია და ხელში იტაცებდნენ, ჰამაც ჩემი დუ-

ქანიც მაშინაც ღია იყო, როცა ერკობსა ჰკეტავდნენ და ხალხს ოჩერედში დგომა აღარ სჭირდებოდა. ერთი სიტყვით, შამამდის და შამამდის მოგება! იოვანე მარტყებს, თუ ნება და წელში გაიშალე, ნულარ გეშინიან, რაც ჰუნარები იცი, გამაიჩინეო.

მეც დავტრილდი, რაღა,—ავიყვანე ორი პრიკაშიკი და დლე და ღამე ვამუშავებ! ერთიც ვნახოთ, ზედ იმ თე-ღეთობა დილითა, ცილაც აქებინაი დიდი პორტველით ვაენათ შემოდის და მებნება, თუ შენ ექსპლანტატორი ხარ და მუშებს ბეგრხანს ამუშავებო!

ვენებები:—ძმაო, ხატის ღვინო ხომ არ დავილევი ამ ჰუზმოზე, ჩემს საქმეებში რას იჩრები, გიცნობ, მიცნობ, ვინა ხარ?

თუო—მე ახრანა ტრულა ვარო!


—ვა! ახრანა ტრულა კი არა, თუნდ ვარაცკოი ლომბარდი იყავი, ჩემი საქმეების მოწესჭიგებას ვინ გე-ხვეწება მეთქი! ერთი ვაცხარაო, ერთი პარუსკობს, სულ სტატეებით დამიწყო ლაპარაკი.

იმ ბემურაზმა იმტოლი იხალიშა, რომ ახში სულის პირში მიმცა, რაღა! სულმაც ჩხრიკა, ჩხრიკა და მთელი იშკილები გამოტყურინა. დავილუპეთ, რაღა, დავილუპეთ, ვანაჩრობით ფეხზე დაყენებული საქმე ისევ უკულმა წაიდა: იოვანე დაიჭირეს და ორივე პასულში მიგვეცეს, დუქანს დიდი სურგუჩის ფეჩატი დაარტყეს და მთელ იმე-ნიასაც არესტი უყვეს, ნიუსტოიკაში უნდა ჩამოგერ-თვასო!

ესლა ადვაკატთან ვიყავი და მითხრა, თუ ძნელი საქ-მეა, მაგრამ ვეცდები, რომ დასერეტას მაინც გადაგარიჩი-ნოვო, ერთი ხუთიოდე წელიწადი რომ გადაგიწყვიტონ, მერე ღმერთი მოწყალეა, რამე მოხდება და განთავი-სუფლდებიო.

ახარ, ქრისტიანო, ხუთი წლის კატრეენა ქარქვეტხ ხომ არ არი, და! ვა, ვა, ვა! ვინც ეს ერკობები და აკობები მოიგონა, ის წაწყდეს, რაღა, როგორც მე ტენში კოპები და გულში ბოღმა გამიჩინა!...
ფარსადან.

მ ა უ ზ ე რ ი ლ ა რ ი



მ ა უ ლ დ ე ბ ა ლ ა ს ა დ გ მ ე ლ ა ლ ს ა ხ ა ი ნ ფ რ მ ვ შ ი ს ა ხ ა ლ ი ფ ი ლ შ ი . თ ვ ა ლ ი

ლ ე მ ა რ ს ი რ ო ს რ ო ს ა კ ე

— რამ გაიძულა, როხროხაძე, რომ თავი მოიკვლო-მეთ, კუბოში ჩაწვეით, რა... კუბოში სამგლოვიარო განცხადებები გაუშვით შენ და შენმა ცოლმა, რამაც შეცდომაში შეიყვანა „ტარტაროზი“ და ზმუკი, რომლებმაც თქვენი სიკვდილის შესახებ დაბეჭდეს სამგლოვიარო განცხადებები?

— რამ მაიძულა? აი რამ:

მე სულით და გულით მიწოდდა, რომ როგორმე ჩეკაში ამოშვეო თავი. ბევრი ვისლავორთე, მაგრამ ხელს მაინც არავინ მკიდებდა და არავინ მატუსალებდა. როცა ევროპაში გაპარვა ვერ მოეახერხე და სახლში დაებრუნდი, იმ ღამით ეს ახრი მომივიღა:

— შობი და ასე ვიზამ: ხმას გაუშვებ, სამგლოვიარო განცხადებებს დავბეჭდავ ჩემი გარდაცვალების შესახებ, ქვეყანას დავარწმუნებ, რომ მე მოკვდი. როცა დასაფლავების დღეს საზოგადოება მოვა ჩემს გასასვენებლად, სასლიდან გამომასვენებენ და, როგორც წესია, ჯერ ეზოში დამასვენებენ წესის ასაგებად, მაშინ მე გადავხდი კუბოს სახურავს და,—თითქოს გავცოცხლდი, როგორც წმინდანი, კუბოდან წამოვდები. თუ გამიმართლდა და არ დამიჭირა ხელისუფლებამ, ხომ კარგი: ხალხს წმინდანი ეგვანები და თავყანს მკეცმს... ხოლო. თუ არ გამიმართლდა და ხელისუფლებამ დამატუსადა, კიდევ უკეთესი,—მეც ეს მინდა. ჩეკაში მომათავსებენ; ეს არის ჩემი მიზანი.

და მართლაც ასე მოხდა. როგორც კი კუბოს სახურავი გადმოვადე და ის იყო აღგომა დავაპირე,—მაშინვე მტაცეს ხელი, დამიჭირეს და ჩეკაში ვადმომავანენ. აღსრულდა ჩემი მიზანი.



კუბოს სახურავი ავხადე და ის იყო ვდგებოდი.


— საკვირველია; თუ რად გინდოდათ ასე ძლიერად ჩეკაში თავის ამოყოფა?

— გაიამბობთ... ყველაფერს-გაიამბობთ. მიწოდდა იმიტომ, რომ: შემესწავლა მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრება, გავრკვევეულიყავი პოლიტიკურ პარტიებში და ის ქაოტური მდგომარეობა, რომელიც ჩემს თავში იყო, ჩამომეყალიბებინა და ერთი სწორი მიმართულება ამელო მსოფლიო პოლიტიკურ მიმდინარეობაში.

— კი, მაგრამ, ეს ხომ ცოდნით, წიგნების კითხვით და ხანგრძლივი მეცადინეობით შეიძლება?

— უკაცრავად... უკაცრავად, მაგრამ თქვენ ცდებით... უნდა მოვახსენოთ, რომ მე მთელი დღეების განმავლობაში სხვადასხვა წიგნებში ვიყავი ჩაფლული, ყველაფერს ვკითხულობდი, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ამას დიდი დრო უნდოდა, თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება... აქ კი, მე ვიცი, რომ სულ მოკლე ხანში ვაღიან მთელ პოლიტიკურ კურსს. ლიტები ცოტაა...

მე ისიც ვიცოდი, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების არქივი-მუზეუმი აქ არის; მათი შესწავლა აქ უფრო შეიძლება, რადგან მთელი მათი მუშაობის ლიტერატურული დედანი აქ ინახება, ხოლო იმათ კი ასლი აქეთ და, მოგვხსენებთ, დედანით უფრო საღად და სწორად შეისწავლი კაცი; ვიდრე ასლით.



წიგნებში ვიყავი, ჩაფლული.

მცეპი



ი. გიბას.

ლევარსის სიტყვა პოლიტიკურ ტუსაღებთან.

— არა, ძმებო და ამხანაგებო! თქვენ ცდებით, როდესაც ეუბნებით ხალხს:

— დაიცადეთ კიდევ ცოტა... წყალი აიძღვრება; თუ თავისთავად არ აიძღვრება, სახლგარეულობიდან აამღვრევენ და იცოდეთ, რომ აამღვრეულ წყალში თევზს ადვილად დაიჭერთ. თევზის დაჭერაში თქვენ გულისხმობთ არა ნამდვილ თევზს: კალმახს თუ ლორჯოს, არამედ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მის დაჭერას.

თქვენ ცდებით, ამხანაგებო! თქვე დალოცვილებო, აამღვრეულ წყალში კი არა, წმინდა, დაკანკასიებულ წყალში ვერაფერი დაიჭერთ და, ერთი იგი მითხარით, აამღვრეულ წყალში თქვენ რას დაიჭერთ?.. კმარა ასეთი შეცდომები.

ჩემი მაგალითიდან გეტყვი:

მე ძალიან მიყვარდა თევზაობა. სულ წყალში ვიყავი, ჟუჟში არც ერთი შტო არ არის, რომ მე არ დამეწუროს და არ მეთევზოს შიგ, და, როცა წყალი დაწმენდილი იყო, თევზი ვერსად დამემალებოდა. ხოლო, როცა ქვის გადაბრუნებისაგან წყალი აიძღვრებოდა, მაშინ თევზის დანახვა შეუძლებელი იყო; მე დავეუცდიდი წყლის დაწმენდას და შემდეგ კი ვერც ერთი თევზი ვერ დამემალებოდა.

დიხს! ეს ასე იყო და ასეც არის.

წელან ერთმა ორატორმა სიტყვა, რომ:

— არა უშავ რა, რომ ჩვენები პარტიაში შედიანო; ციხე შიგნიდან გატყდებო.

ესეც, ამხანაგებო, ყოვლად უმსგავსი სისულელეა: ერთი რომ, ვინც ჩვენგან პარტიაში შედის, ის შედის წრფელი გულით და არავეითარი ბოროტი განზრახვა მის გულში არ არის. ეს ყველასათვის აშკარაა.

მართალია, ხალხური თქმულებაა—ციხე შიგნიდან გატყდებო, მაგრამ ეს ხალხს იმიტომ კი არ უთქვამს, რომ თქვენ ასე პირდაპირ გაგეგოთ! იქნებ თქვენ მართლაც ასე გგონიათ და ამიტომაც არის, რომ იქ აპირობთ თავის მოყოლას?.. არა, ეს ასე არ არის. გარეთ იყავით და გარედან ვერაფერი დააკელით ამ ციხეს; ესლა კი, როცა მომწყვდეული ხართ ამ კედლებს შორის, თქვენ იზამთ სიკეთეს? არა, ძმებო! უნდა შეიგნოთ, რომ აამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა უფრო ძნელია და ციხის გატეხაც არ შეიძლება შიგნიდან.

ეს არის ჩემი გულწრფელი თქმა. ისე თქვენ, როგორც ზენებოს! მე კი მეტი აღარ მინდა აქ ყოფნა.

იქნებ-აქნებ

КИНО-ТРИУК или кадры советской кинематографии

Руководители «Пролеткино», стившего 2-ю серию «Баллаского союза» должны отвечать в ответственности по обязательству в безопасности и расстратах.



Сняли одного вора. «получилась целая свора»

ეს სურათი ამოღებულია № 23 „სმენახ“-იდან. ჩვენ არ ვფიქრობდით მის ამოღებას და ჩვენს ჟურნალში მოთავსებას. მაგრამ, იქნებ, ასეთი რამ ჩვენ შიგნით ხდება და ამიტომაც საჭიროდ ვსცანით ასე მოვქცეულიყავით.

— წამსდარხარ კაცი... რამ ვაგტეხა ასე?

— რამ ვამტეხა და სინამდვილემ.

— რა არის ასეთი სინამდვილე?

— რა არის, და აი რა: ზაპესი, პიონერები და წითელ-არმიელი... აი სამი ფაქტორი, რომლებმაც მე კი არა, არსებულ ხელისუფლების ყველა მტრები გასტეხა.

— მაინც, რით და როგორ?

— რით და როგორ? აი—რით და როგორ! ზაპესი არის სიმბოლო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აყვავებისა... მე, როცა თბილისიდან ბათომში გავემგზავრე ევროპაში გასაპარავად, მატარებლიდან დავინახე გადართებული ზაპესი; მაშინ მივხვდი, რომ ჩვენ დამარცხებული ვიყავით; კინალამ ვადმოვხტი მატარებლიდან და კინალამ ხელი ავიღე ევროპის იმედზე, მაგრამ ეშმაკმა, რომელიც იჯდა ჩემში, მე დამძლია: ეს ერთი.


— პიონერებმა რით შეგაშინეს? ალბად, თავისი და-რაბანდით!

— თუ გნებავთ, მასე იყოს... მაგრამ, როცა მე დავინახე ეს ზღვაოდენა ბავშვები წითელი ლენტეხით, მართალი გითხრათ,—წელში გავწყდი კაცი. თქვენ იცით თუ არა, რომ მთელი მომავალი თაობა კომუნისტების მეზობლი ლაშქარი იქნება? გამოდით თქვენ, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში გაქვთ უკვე გადადგმული და ჩაცვნილ კბილებით წელმოტეხილებმა ყუარაჯენით შეებრძოლეთ მათ. რას გაზღებთ!

— რუსის სალდათმა რით შეგაშინა?

— რით და ზრდილობით. მე იაპონიის ომში ნამყოფი ვარ. რუსის სალდათი იყო გაუზრდელი. მათი ეშინოდა ქალებს და ბავშვებს... ესლა კი ჩემი ძვალთი ვნახე:

ატარებული ქალი, რომელიც ქმარს გაელახა (და ვინ იცის, იქნებ მისი ქმარი „განათლებული“ კაცი იყო!) და გარედ გამოეგდო, შეიბრალა სალდათმა. ზრდილობიანად, როგორც დას, ყველაფერი გამოვიტოხა და ღამით პათოსნად დედის სახლამდე მიაცილა.



სამი ფაქტორი

აი, სამი ფაქტორი, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ ასამარებს ევროპის იმედებს.

— შენ, ალბათ, ყველაფერი აქ მიხვდი ამას?

— დიას! აქ მიხვდი... აქ კი არ მიხვდი, აქ დაედასტურე ის, რასაც მიხვდარა ვიყავი... ქეშმარიტად: აქ ბევრი რამის სწავლევა შეიძლება. მე რომ ნებას მომცემდნენ, გამოვალ და ამ ჩეკას აბრას ვაუწყებთ ასეთი წარწერით:

სამართვმ-

ლოს უმაღლესი ჭაუხის სასწავლებელი კოლმ-ტიპური უნივერსიტეტი.


და, მე მგონია, ეს უფრო სწორი სახელწოდება იქნება ამ დაწესებულებისათვის, ვიდრე ის, რომელიც ესლა აქვს.

ცოდვევისაგან ვაფხინდა.

როცა გამანათვისუფლეს, პირდაპირ აბანოში წავედი. ოთხი მექისე დავიქირავე. ოთხივე მომდგა და დამიწყეს ბანა. წიხლებით შემდგენ ზურგზე. ვფიქრობდი:

— ეს ოსრები, ალბათ, მენშევიკები არიან. ვაივებს, რომ მე პოლიტიკური მრწამსი გამოვიცვალე და ამიტომაც მთელვან ასე, მაგრამ... მაგრამ მეორე აზრმა გამიელვა: არა, ალბათ, უნდა ძველი ცოდვები და ჭუჭყი მომაცილონ, გამწმინდონ მათგან და ამიტომაც მთელვან ასე მაგრად.

აბანოს შემდეგ საპარკმანეროში წავედი წვერების გასაპარსათ და თმის გასაკრეჭად. ვავიპარსე, ვავიკრიჭე. ჩემი წვერი თან წამოვიღე; ეს წვერები მე მუზეუმს უნდა გადავსცე.



ოთხივე მომადგა და დამიწყეს ბანა.

საპარკმანერო



იემი წვერი თან წამოვიღე. შტაინახის სისტემა.

როცა საპარკმანეროდან გამოვედი და რუსთაველის პროსპექტზე გასვლას ვაპირებდი, კაცმა შემანერა.

